ოქმი №1

ცაგერის მუნიციპალიტეტის ზუბის თემის სოფ. ზუბის მოსახლეობის კრების ოქმი

21.10.2022

კრებას ესწრებოდნენ ზუბის თემის სოფ. ზუბის 45 მცხოვრები. კრებას ასევე ესწრებოდნენ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი-გ. ხმელიძე,მერიის წარმომადგენელი ზუბის თემში შიო ომანაძე, საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი ოყურეშისა და ზუბის თემებში მამუკა მამარდაშვილი.

კრების თავმჯდომარე: შ. ომანაძე

მდივანი:ლ.ნემსწვერიძე

დღის წესრიგი:

1.ზუბის თემის სოფ. ზუბის მიმდებარე ტერიტორიაზე თიხის მოსაპოვებლად სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის თაობაზე მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოსათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი ხმელიძე

მომხსენებელმა კრების მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ სოფ. ზუბის ტერიტორიაზე მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო გეგმავს თიხის მოსაპოვებლად სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე ლიცენზიის გაცემას . ამისათვის საჭიროა სოფლის თანხმობა, გთხოვთ, გამოთქვათ თქვენი აზრი, რომელიც შემდგომში მიეწოდება მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს

აზრი გამოთქვეს: შ. ომანაძე, გ.ჩაკვეტაძე, ა.ჩაკვეტაძე, მ.მამარდაშვილმა, დ. ნემსწვერიძე.

გამომსვლელებმა აღნიშნეს, რომ აღნიშნულ ტერიტორიას სოფლის მოსახლეობა იყენებს საძოვრად, ამასთანავე, მომიჯნავედ არის კერძო ნაკვეთები და სოფელი წინაღმდეგია აღნიშულ ტერიტორაზე რაიმე სახის სამუშაობეის განხორციელებაზე.

კრებაზე დამსწრე სოფლის 45 მცხოვრებიდან წინააღმდეგია-45.

დაადგინეს: უარი ეთქვას მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს სასარგებლო წიაღისეულის -თიხის მოპოვებისათვის ლიცენზიის გაცემის თაობაზე.

კრების მონაწილეების სახელობითი სია ხელმოწერებით ოქმს თან ერთვის (დანართი 2 ფურცელი)

კრების თავმჯდომარე: შ. ომანაძე

მდივანი: ლ.ნემსწვერიძე